საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი

მისამართი: ქ.გორი სტალინის ქუჩა:#16 zurabkapanadze1979@gmail.com ტელ. 577 02 41 99

ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნინო ჩიბჩიურს

ქალბატონო ნინო

თქვენი 2018 წლის 14 ივნისს წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბიუროს დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტი და ყოველ თვიურად დარიცხული თანხა შეადგენს 4300 ლარს, საიდანაც თანამშრომელთა ხელფასებისათვის გათვალისწინებულია 3380 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა ხმარდება ბიუროს საქმიანობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას (ტრანსპორტის მომსახურება, საწვავი, ინტერნეტი, კავშირგაბმულობა და სხვა).

საქართველოს პარლამენტის წევრის ბიურო საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად ორგანიზებას უწევს ამომრჩევლებთან მუშაობას, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების საქმიანობაში მაჟორიტარი პარლამენტის წევრის მონაწილეობას ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

2016 წლიდან დღემდე ბიურომ მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ არაერთ ღონისძიებასა თუ კონფერენციაში, ბიურომ განიხილა მოქალაქეთა წერილები და საჩივრები, განცხადებაში დასმული საკითხების ირგვლივ მოამზადა შესაბამისი დასკვნები და წინადადებები, რითაც მივმართეთ შესაბამის ორგანოებს. აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ბიუროს განცხადებით მომართა 231 მოქალაქემ, ზეპირ სიტყვიერი კონსულტაცია გაეწია 200 მოქალაქეს, შესაბამის სამსახურებს ბიურომ მიმართა 151 წერილით, ბიურომ პარლამენტარის ინიციატივით უზრუნველყო მოქალაქეთა უფასო სამედიცინო გამოკვლევა 2017-2018 წლებში, რითაც ისარგებლა დაახლოებით 550-მა ჩვენმა მოქალაქემ.

ჩვენს რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციის მიზნით ბიურო აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის სპორტის სამსახურებთან სპორტული ღონისძიებების ორგანიზების მიზნით.

პატივისცემით,
საქართველოს პარლამენტის წევრის
იოსებ მაკრახიძის ბიუროს ხელმძღვანელი ზურაბ კაპანაძე